საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 637

04 10 2017წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - "საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია"- მე-5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისათვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში დარგობრივი ექსპერტის (მეთუნეობის, ფლორისტიკის, მშენებლობის, სამღებრო საქმის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის, სამკურნალო მცენარეების დამზადებისა და მოპირკეთების), პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტისა და ფსიქოლოგის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შეთანხმების კოორდინატორის, თამარ სამხარაძის, 2017 წლის 18 სექტემბრის №1083977 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 04 ოქტომბრიდან 2017 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის (შემდგომში - პროექტი) - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ – მე-5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისათვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. მე-5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისათვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) - ფარგლებში დარგობრივი ექსპერტის თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებებით:

ა) მეთუნეობა - ადგილების რაოდენობა 1;

ბ) ფლორისტიკა - ადგილების რაოდენობა 1;

გ) მშენებლობა - ადგილების რაოდენობა 1;

დ) სამღებრო საქმე - ადგილების რაოდენობა 1;

ე) მეფუტკრეობა - ადგილების რაოდენობა 1;

ვ) მეთევზეობა - ადგილების რაოდენობა 1;

ზ) სამკურნალო მცენარეების დამზადება - ადგილების რაოდენობა 1;

თ) მოპირკეთება - ადგილების რაოდენობა 1.

1.1.1. დარგობრივი ექსპერტის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დარგის შესაბამისი კომპეტენციების არსებობა;

ბ) სასურველია პროფესიული პროგრამების/მოდულების სპეციფიკის ცოდნა;

გ) კარგი წერითი კომპეტენციები.

1.1.2. კონკურსის შედეგად დარგობრივი ექსპერტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში დარგობრივი ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს ერთ ეტაპს და შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

1.2. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი - ადგილების რაოდენობა 2.

1.2.1. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - სოციალური მეცნირებების სფეროში;

ბ) პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;

გ) სასწავლო მოდულების/პროგრამების სპეციფიკის ცოდნა;

დ) კარგი წერითი კომპეტენციები.

1.2.2. კონკურსის შედეგად პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 2 ეტაპს, პირველ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1300 (ერთი ათას სამასი) ლარის ოდენობით და მეორე ეტაპზე 1300 (ერთი ათას სამასი) ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

1.3. ფსიქოლოგი - ადგილების რაოდენობა 2.

1.3.1. ფსიქოლოგის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ფსიქოლოგიის მიმართულებით;

ბ) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების თავისებურებების ცოდნა;

გ) მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნების გამოცდილება;

დ) მოდულური პროგრამების სპეციფიკის ცოდნა;

ე) პროფესიული განათლების სისტემის ცოდნა;

ვ) კარგი წერითი უნარები.

1.3.2. კონკურსის შედეგად ფსიქოლოგის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ფსიქოლოგის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 2 ეტაპს, პირველ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1300 (ერთი ათას სამასი) ლარის ოდენობით და მეორე ეტაპზე 1300 (ერთი ათას სამასი) ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

2. ამ ბრძანების 1.1; 1.2 და 1.3 პუნქტებით განსაზღვრული დარგის ექსპერტების, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისა და ფსიქოლოგების მიერ შესასრულებელი საქმიანობა, წარმოსადგენი პროდუქტები, შესაბამისი ანაზღაურება და ხელშეკრულების მოქმედების ვადები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. ამ ბრძანების 1.1; 1.2 და 1.3 პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge - აუცილებლად უნდა გამოაგზავნონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. კონკურსები ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

5. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის - www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსების გამოცხადების უზრუნველყოფა.

6. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე